ხშირად დასმული შეკითხვები

- **რა თარიღიდან იწყებთ მასალებს და რა თარიღზე ამთავრებთ?**

პასუხი: მასალები იწყება 1977 წლიდან და მთავრდება 2008 წლის 7 აგვისტოთი. დაწყება ნებისმიერი დროიდან შეიძლება, რადგან სამწუხაროდ, ქართულ-ოსური კონფლიქტი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა. ჩვენი პროექტის ავტორების მოსაზრებით მასალები იმ მნიშვნელოვანი მოვლენით უნდა იწყებოდეს, რამაც კონფლიქტის ესკალაციას ბიძგი მისცა. ასეთი თარიღია 1977 წელი, საიდანაც იწყება ქართულ-ოსური დაპირისპირების ის ეტაპი, რომელიც 1990-იან წლებში შეუქცევად კონფლიქტში გადავიდა. სწორედ ამ წელს მიიღო საბჭოთა კავშირმა ახალი, ე.წ. განვითარებული სოციალიზმის - ახალი საბჭოთა ადამიანის კონსტიტუცია, სადაც ეროვნება და ამ ტიპის იდენტობები მინიმუმზე დაყვანილი, წარსულის მოვლენა იყო. (მანამდე კი იყო სტალინის - 1936 წლის კონსტიტუცია). განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის შემდეგ იწყება საბჭოთა კავშირის განვითარების ახალი ბიძგი, რომელმაც იგი პერესტროიკამდე მიიყვანა. ახალმა საბჭოთა ადამიანმა და განვითარებულმა სოციალიზმმა არ გაამართლა. კონსტიტუციის კონცეფციის ერთ-ერთი მიმართულება იყო, რომ ეროვნებებს შორის საზღვრები უნდა წაშლილიყო, თუმცა, საწინააღმდეგო შედეგი დადგა.

ახალი კონსტიტუცია 1977 წლის ოქტომბერში მიიღეს, მომდევნო წლის 14 აპრილი კი თბილისში უკვე ყველას ახსოვს. კონსტიტუციის მიღების შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებს დაევალათ თავისი კონსტიტუციების მიღება, ანუ ამ პერიოდში საქართველოს სსრ კონსტიტუციაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობდა. რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში შევიდა პოზიცია საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ და საკითხი დადგა - შენარჩუნებულიყო თუ არა ქართული ენა სახელმწიფო ენად. ქართველები გამოვიდნენ ქუჩაში, დაიცვეს საკუთარი ენა და შედეგად ქართული დარჩა სახელმწიფოს ენად საქართველოს კონსტიტუციაში. ამ ფაქტმა ბიძგი მისცა წინააღმდეგობის და შინაგანი დისკომფორტის გაჩენას აფხაზებსა და ოსებში. ეს იყო დაძაბულობის პირველი გაღვივება მოტივით -„ ქართველები მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ, თავის ენაზე, ჩვენზე - აფხაზებსა და ოსებზე - არ ფიქრობენ.“ ამიტომ მიგვაჩნია, რომ აქ არის ჩაყრილი ის ფესვები, საიდანაც 1990-იანი წლებში განვითარებული მოვლენები მივიღეთ.

1986 წელს იწყება „პერესტროიკა“, რომელიც უარყოფს 1977 წელს გაცხადებულ, განვითარებული სოციალიზმის იდეას. ამ დროს აღმოჩნდება, რომ ეთნიკურობას

მნიშვნელობა აქვს. მეტიც - გორბაჩოვის „პერესტროიკა“ გადადის მეტ ეთნიკურ უფლებებზე, იმ პოზიციაზე, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებს, ოლქებს მეტი უფლებები მიეცეს. ოსებსა და აფხაზებში ჩნდება ეთნიკური ნაციონალიზმის რეალიზაციის იმედები, რაც მანამდე ქართველებში გამოვლინდა და გარკვეულწილად განხორციელდა.

რაც შეეხება ქრონოლოგიის დასასრულს - მიგვაჩნია, ქართულ-ოსურ კონფლიქტში 2008 წლის 8 აგვისტო მნიშვნელოვანი თარიღია, რადგან აქედან ახალი პერიოდი იწყება. არსებობს საკამათო საკითხები ვინ, რად ფორმით და როდის დაიწყო ის მოვლენები, რაც შეუქცევად კონფლიქტში გადაიზარდა. ამიტომ ჩვენ ამას არ ვეხებით. ჩვენი ბოლო დოკუმენტია - საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამ განცხადებამ შექმნა განცდა როგორც თბილისში, ისე ცხინვალში, რომ ის დაძაბულობა და ესკალაცია, რაც აგვისტოს თვეში დაგროვდა, ცხრებოდა და ჩერდებოდა. ანუ, ამ ბოლო დოკუმენტით მკაფიოდ არ ჩანს, რა არის შემდეგი ნაბიჯი. შემდეგი ნაბიჯი იყო, სამწუხაროდ, ომის დაწყება, რაც არის სულ ახალი, სულ სხვა ისტორია, ამიტომ ჩვენ 7 აგვისტოს ვასრულებთ ამ პროექტს.

- რატომ გადაწყვიტეთ ამ მასალების დროის მიხედვით დალაგება?

პასუხი: კონფლიქტის ანალიზი სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს - მაგალითად, ცალ-ცალკე დაალაგო სხვადასხვა მხარის პოზიცია, მასალები თემატიკის მიხედვით - ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ჩართულობა, კონფლიქტის მოგვარების სხვადასხვა აქტორის კონცეფციები, ქვეყნის შიგნით არსებული პოზიციები. თუმცა, ერთ-ერთი საუკეთესო და აპრობირებული ფორმაა ე.წ. ტაიმ-ლაინი - მასალების დროის მიხედვით დალაგება, სადაც მოცემულია ყველა ხელმისწავდომი დოკუმენტი და მკითხველს საშუალება აქვს, დოკუმენტებს, გამონათქვამებს და პროცესების განვითარებას დროის მიხედვით მიჰყვეს. ამიტომ ჩვენ ჩავთვალეთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ეს ფორმა საინტერესოა. არსებობს ბევრი ამ ტიპის ვებგვერდი, სადაც მხარეები მხოლოდ საკუთარ პოზიციას ავლენენ, მაგალითად, ოსური საიტები, რომლებზეც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ან რუსეთში მცხოვრები სპეციალისტები თავის ხედვას წარმოადგენენ და ეს ხედვები, როგორც წესი, ტენდენციურია. ასევე ტენდენციურია ზოგი ქართველი ავტორის თუ გამომცემლობის ტაიმ-ლაინები, სადაც მხოლოდ ქართული მხარის სიმართლეა წარმოჩენილი. ჩვენ კი გვაქვს პრეტენზია და ამბიცია, რომ მაქსიმალურად

ობიექტური სურათი ვაჩვენოთ და არც ერთი დოკუმენტი არ გამოვტოვოთ, რათა მკითხველს ჰქონდეს საშუალება, ნახოს როგორ მოქმედებს კონკრეტულ დროს ოსური მხარე, რუსეთი, საქართველოს ხელისუფლება, როგორ არიან ჩართულნი სამოქალაქო სექტორი, ჟურნალისტები, სხვადასხვა ექსპერტები და მოიძიოს საინტერესო სტატიები. ყველა მასალა გამყარებულია წყაროებით - ანუ, შესაძლებელია, მკითხველმა გადაამოწმოს და უფრო სიღრმისეულად და ვრცლად ნახოს ის მოსაზრებები, რომლებიც ტაიმ-ლაინზეა. ეს არის კონფლიქტის ანალიზის ერთ-ერთი ფორმა - აპრობირებული, სანდო და რამდენადაც ვიცით, ინტერნეტ სივრცეში ამ ფორმით ასეთი მასალა დღემდე არ არსებობს.

- **არის თუ არა ტაიმ-ლაინზე მასალები, რომლებიც ზარის ტრაგედიას ეხება?**

პასუხი: დიახ, აქ არის მასალები, რომლებიც ზარის ტრაგედიას ეხება. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული თემაა ქართულ-ოსურ ურთიერთობებში. როგორც წესი, ამ ტაიმ-ლაინზე ჩვენი შეფასებები არ არის მოცემული და წარმოდგენილია მხოლოდ ფაქტები, ასევე ქართული და ოსური მხარეების შეფასებები. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, არც ზარის და არც სხვა შემთხვევაში, ჩვენი შეფასება არ წარმოვადგინოთ და მხოლოდ ფაქტებმა იმეტყველონ თავის თავზე. ჩვენი ამოცანაა, მივაწოდოთ მკითხველს ფაქტებთან მაქსიმალურად ახლოს არსებული წყარო და არა დღევანდელი გადმოსახედიდან გაკეთებული შეფასება. რაც უფრო ახლოსაა ინფორმაცია მოვლენასთან დროის თვალსაზრისით, მით უფრო სანდოა, ვიდრე შეფასებები. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვერ ვპოულობთ იმ დროის მასალებს, ვცდილობთ, თემა და ფაქტი არ გამოვტოვოთ, მოვიტანოთ შედარებით გვიანდელი ინფორმაცია, სადაც სხვადასხვა მხარე მაქსიმალურად იქნება წარმოდგენილი.

- **აქ ასახული დოკუმენტებიდან თუ ჩანს კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობები და ჩანს თუ არა საერთოდ?**

პასუხი: ყველა ეტაპზე ჩანს, რომ როგორც ოსური, ისე ქართული მხარე შანსს უშვებს ხელიდან - ყველა დოკუმენტში ჩანს გამოსავალი. ვინაიდან ქართულ-ოსური კონფლიქტი საბჭოთა კავშირის პერიოდში დაიწყო, მესამე მხარე - საბჭოთა კავშირი უშუალოდ ჩართული იყო და ახდენდა როგორც უარყოფით, ისე დადებით გავლენას. ხშირად შეხვდებით შემთხვევებს, როცა ოსური მხარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მოსკოვი აუქმებდა და ამას ქართული მხარე დადებითად ვერ

იყენებდა. დოკუმენტების ანალიზი ნამდვილად იძლევა საშუალებას, ვნახოთ, რომ მხარეთა პოზიციები ხშირად უახლოვდებოდა ერთმანეთს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაგრამ მიზეზთა გამო ისევ შორდებოდა ერთმანეთს. ხშირად ამის მიზეზი იყო სუბიექტური გადაწყვეტილება, უნდობლობა, ამა თუ იმ მოვლენაზე მხარეების არასაკმარისი ინფორმირებულობა. ჩვენ გვაქვს განცდა, რომ იყო არა ერთი და ორი, არამედ ძალიან ბევრი ხელიდან გაშვებული შანსი და ეს დოკუმენტებში ჩანს. ამ პროექტის ერთ-ერთი ამოცანაა, ეს ყველაფერი წარმოვაჩინოთ. მოხარული ვიქნებით, თუ მკითხველი, რომელიც ამ მასალებს გაეცნობა, ჩვენს პოზიციას გაიზიარებს.

როგორც წესი, წარსულში ხედვა და წარსულის გაანალიზება დღევანდელობას სჭირდება და ამ ყველაფრის გათვალისწინება დაგვჭირდება თუ ვაპირებთ, რომ კონფლიქტზე ზემოქმედება მოვახდინოთ, ან სხვა კონფლიქტების პრევენციისთვის გამოვიყენოთ. ჩვენი ტაიმ-ლაინი სასარგებლო იქნება ახალგაზრდებისთვის და მომავალი თაობისთვის, რათა მათ გაითვალისწინონ წარსულში დაშვებული და ხელიდან გაშვებული შანსები და მომავალში ეს ცოდნა შესაძლო კონფლიქტური სიტუაციების განსამუხტად გამოიყენონ.

- **ჩანს თუ არა ამ დოკუმენტებში, რომ იყო კონფლიქტის ტრანსფორმაცია?**

პასუხი: სამწუხაროდ, კონფლიქტის ტრანსფორმაცია ერთ-ერთი ყველაზე უცხო ცნებაა ქართულ-ოსური კონფლიქტში. ასევე სამწუხაროა, რომ მხარეები ყოველთვის წარსულისკენ იხედებიან. ტრანსფორმაციის მთავარი ამოსავალია, რომ რაც დრო გადის, ადამიანები, დროიდან გამომდინარე, სხვადასხვა რესურსით აპირებენ პრობლემების მოგვარებას. ეს ავადმყოფობას ჰგავს - შესაძლებელია, ადამიანი დიდხანს, ბავშვობიდან იყოს ისეთი დაავადებით ავად, რომელიც არ არის მძიმე და რთული, მედიცინა იგონებს ახალ მეთოდსა და წამალს, მაგრამ ადამიანი იმდენად მიჩვეულია ძველ წამლებს, რომ ახალს და თანამედროვეს, ისევ ძველი წამლებით მკურნალობას არჩევს, ანუ, ის არ ერგება თანამედროვეობას. ჩვენი განცდით, სამწუხაროდ, კონფლიქტზე მოქმედი ძალები, უპირველესად კი - ქართული და ოსური საზოგადოებები, იყურებიან წარსულში, წარსულით აპირებენ გავლენის მოხდენას ამ კონფლიქტზე და არ ცდილობენ თავიანთი ხედვები თანამედროვეობას მოარგონ. საბჭოთა კავშირში არსებული კონფლიქტი დღეს აღარ არის საბჭოთა კავშირის კონფლიქტი - აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს, და ის დროც გავიდა. დღეს სრულიად სხვა ვითარება და რეალობაა - დღეს არის ევროკავშირი, ნატო,

არსებობს მათი გავლენები, მოვიდა სხვა თაობა, ინტერნეტის ეპოქაა. ჩვენ კი, სამწუხაროდ, 1970-იანი, 1980-იანი წლების სტანდარტებით ვუყურებთ ჩვენს კონფლიქტებს და ნაცვლად იმისა, ვილაპარაკოთ, როგორ ვიცხოვროთ მომავალში, ერთმანეთს წარსულს ვახსენებთ, თუ როგორ კარგად ვცხოვრობდით წარსულში. აქვე ვთქვათ, რომ წარსულში არც თუ ისე კარგად ვცხოვრობდით. ასე რომ ყოფილიყო, ომი არ მოხდებოდა. ანუ ტრანსფორმაციის მთავარი მომენტი და დამოკიდებულება, რომ კონფლიქტი თანამედროვეობას მოვარგოთ და წარმოვიდგინოთ, რას გავაკეთებდით დღეს რომ მომხდარიყო კონფლიქტი, სამწუხაროდ, ქართულ-ოსურ ურთიერთობებში ამჟამად არ არის. ორივე მხარე ჯიუტად იყურება მხოლოდ უკან და არა დღევანდელ რეალობაში ან მომავალში.

- **რა როლს თამაშობდა შერეული საკონტროლო კომისია?**

პასუხი: შერეული საკონტროლო კომისია ნამდვილად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ეს იყო ორგანო, რომელიც სოჭის ხელშეკრულების შემდეგ, 1992 წლის ივნისში შეიქმნა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ორი სახელმწიფოს ლიდერებმა - ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა. ეს იყო ოთხმხრივი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდა როგორც საქართველო და რუსეთი, ისე დამატებით სამხრეთ ოსეთის და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლები. მათ საკმაოდ სერიოზული შრომა გაწიეს, შეიქმნა რამდენიმე დოკუმენტი, მშვიდობა დამყარდა ადგილზე, მიმდინარეობდა კონტროლი. ჩვენი აზრით, და ეს ამ პროექტშიც ჩანს, შერეულ საკონტროლო კომისიას დადებითი როლი ჰქონდა.

სამწუხაროა, რომ 2003 წელს, როცა ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაამ კომისიაში მხოლოდ უარყოფით მომენტებს ამჩნევდა და დადებითი ვერაფერი დაინახა. უნდა ითქვას, რომ შერეულ საკონტროლო კომისიასთან ბრძოლას მოჰყვა 2008 წლის მოვლენები. რეალურად, ამ კომისიის მუშაობა რომ აღდგენილიყო, 6-7 აგვისტოს ჯერ კიდევ შეიძლებოდა კონფლიქტის განმუხტვა. ქართული მხარე ამის პრინციპულად წინააღმდეგი იყო და უნდოდა, კომისიის გვერდის ავლით ემოქმედა. 7 აგვისტოს იური პოპოვი ითხოვდა შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატში შეხვედრას, მაგრამ ქართული მხარე ნებისმიერ ფორმატზე თანახმა იყო, გარდა ამ ფორმატისა. ამიტომ თამამად შეიძლება, ითქვას, რომ შესაძლებელი იყო, 2008 წლის მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო, თუ შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატის მიმართ ქართულ მხარეს მეტი ნდობა ექნებოდა. ამ ჯგუფის მიმართ

დამოკიდებულების გაანალიზებით შესაძლებელია, ისიც დავინახოთ, როგორ ღვივდებოდა კონფლიქტი.

- **თუ გვაქვს საინტერესო დოკუმენტები, შეგვიძლია, მოგაწოდოთ?**

პასუხი: პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოვიძიოთ დამატებითი დოკუმენტები და ამდენად, ამისთვის პროექტი ღიაა. ტექნიკურად ტაიმ-ლაინი დახურულია და გარე მომხმარებელი მასში ცვლილებებს ვერ შეიტანს, შესაძლებელია მხოლოდ დოკუმენტების გადმოტვირთვა და შენახვა. თუმცა, თუ ფლობთ ტაიმ-ლაინისთვის საჭირო დოკუმენტებს, ან იცით ამ დოკუმენტების შესახებ, დიდი სიამოვნებით მივიღებთ შენიშვნებსა და წინადადებებს. ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ დოკუმენტი აქ წარმოდგენილ მასალებს დავამატოთ. ჩვენ არც ერთი დოკუმენტი არ დაგვიწუნია პოლიტიკური ან რაიმე სხვა ნიშნით, არც ერთ დოკუმენტზე არ გვითქვამს, რომ არ ღირდა მისი განთავსება ტაიმ-ლაინზე. პირიქით - მაქსიმლურად ვცდილობთ, ყველა დოკუმენტი იყოს წარმოდგენილი და ზოგიერთი ისეთი დოკუმენტებიც კი მოხვდა აქ, რომლებსაც პროცესებზე პირდაპირი გავლენა არ მოუხდენია და შესაძლებელი იყო, არ განგვეთავსებინა, თუმცა, მივიჩნიეთ, რომ რელევანტური იყო სრული სურათის და პროცესის აღსაქმელად. ჩვენი პოზიციაა, დავტოვოთ თუნდაც უინტერესო დოკუმენტი, ვიდრე ამოვიღოთ და შევქმნათ შთაბეჭდილება, რომ პროექტს არასრული სახე აქვს.

ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა, მოვიზიდოთ რაც შეიძლება, მეტი დოკუმენტი, ყურადღება, შენიშვნები, კრიტიკა. ასე რომ, მკითხველისგან მიღებულ დოკუმენტებს სიამოვნებით განვიხილავთ, ტაიმ-ლაინს დავამატებთ, ხოლო თუ არ დავამატებთ, მიზეზსაც განვმარტავთ.

- **რატომ არის საიტი მხოლოდ ქართულენოვანი?**

პასუხი: ეს დროებითია. ჩვენ გვსურს, საიტზე მასალა სხვა ენებზეც იყოს ხელმისაწვდომი. ტაიმ-ლაინი ქართული საზოგადოებისთვის შეიქმნა და ამ ეტაპზე უპირატესობა ქართულ ენას მივანიჭეთ, რადგან მივიჩნევთ, რომ კონფლიქტის თემა საქართველოსთვის არის მნიშვნელოვანი. დღეს კონფლიქტის მოუგვარებლობა აწყობს რუსეთს. რაც უფრო გაიწელება კონფლიქტი დროში და გაუცხოვდება ოსური საზოგადოება საქართველოს მიმართ, მით უფრო ხელსაყრელია რუსეთისთვის, რათა ოსური საზოგადოება უფრო მეტად იყოს შემდეგ ჩართული რუსულ კონტექსტში. ამიტომ კონფლიქტის მოუგვარებლობა

პირველ რიგში საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. ვიდრე საქართველოს მოსახლეობა და საზოგადოება არ გადახედავს და არ გადააფასებს თავის დამოკიდებულებებს, მანამდე ერთსა და იგივე მოჯადოებულ წრეზე ვიტრიალებთ. ამიტომ მასალა ქართულადაა, ხოლო ორიგინალურ, არაქართულ დოკუმენტებზე ქართული აღწერა და კომენტარებია განთავსებული.

ვინაიდან კავკასიაში მიმდინარე ყველა კონფლიქტი - ყარაბაღში, სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში - უმეტესად რუსულენოვანი კონფლიქტებია, თამამად შეიძლება, ითქვას, რომ არსებული დოკუმენტების აბსოლუტური უმრავლესობა, დაახლოებით 70% რუსულ ენაზეა. ინგლისურ ენაზე თითქმის არ არსებობს ორიგინალური დოკუმენტები და როგორც წესი, მხოლოდ ნათარგმნია. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინგლისურენოვანი დოკუმენტები კი, როგორც წესი, ქართულად ან რუსულად ითარგმნება. ჩვენს ტაიმ-ლაინზე მაქსიმალურად არის წარმოდგენილი ორიგინალური დოკუმენტები - ის, რაც რუსულად დაიწერა, რუსულ ენაზეა, ხოლო ის, რაც ქართულად დაიწერა - ქართულზე.

სამომავლოდ გვაქვს ამოცანა, ითარგმნოს ქართული დოკუმენტების აღწერა და კომენტარები რუსულ ენაზე, რათა დაინტერესებულ რუსულენოვან ადამიანებს - აფხაზებსა და ოსებს, ექსპერტებს და სპეციალისტებს, კონფლიქტის შესწავლით დაინტერესებულ მოქალაქეებს - ჰქონდეთ საშუალება, გაეცნონ მასალებს. არ არის რთული, შეიქმნას ასეთივე ტიპის საიტი, სადაც რუსული დოკუმენტები განთავსდება რუსულად, ხოლო ქართული დოკუმენტებს ექნება რუსულენოვანი აღწერა და კომენტარები.

გარდა ამისა, სახსრების მოძიების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული თავად ქართული დოკუმენტებიც ითარგმნოს რუსულ ენაზე, თუმცა, ეს შედარებით რთული პროცესია, რამდენადაც საამისოდ დამატებითი რესურსია საჭირო. კიდევ უფრო შორსმიმავალი პროექტი შეიძლება ყველა მასალის ინგლისურ ენაზე თარგმნა. ასეთ საიტსაც ეყოლება თავისი მკითხველი. რაც შეეხება ოსურ და აფხაზურ ენებს, ჩვენი გამოცდილებით, ამ ენებზე იშვიათად კითხულობენ მასალებს ინტერნეტში. ინტერნეტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკმაოდ გამოყენებადი რესურსია, თუმცა შიდააფხაზური და შიდაოსური დისკუსიები, როგორც წესი, რუსულ ენაზე მიმდინარეობს.

- **როგორია დაინტერესება და გამოხმაურება პროექტის მიმართ?**

პასუხი: ჩვენ უკვე გავმართეთ 5 პრეზენტაცია მკვლევარებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის. პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია და განსაკუთრებულად მოსწონთ ის, რომ დოკუმენტები პირველწყაროებით, ორიგინალური სახით არის წარმოდგენილი, მკითხველი პირველწყაროდან ღებულობს მასალებს, რაც პროექტის სანდოობას კიდევ უფრო ზრდის. ასევე მოსწონთ, რომ მომხმარებელს შეუძლია, მოიძიოს, ჩამოტვირთოს ეს დოკუმენტები და შეინახოს საკუთარ არქივში. ანუ, ეს პროექტი დაინტერესებულ ადამიანებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, იმუშავონ სწრაფად და გამოიყენონ როგორც ინსტრუმენტი თავიანთ საქმიანობაში. ყველასთვის მისაღებია ისიც, რომ არც ერთი ფაქტი გამოტოვებული არ არის, თუ რაიმე აკლია, ეს არ არის განზრახ. ჩვენ მზად ვიქნებით, მივიღოთ მეტი ინფორმაცია ამგვარი ფაქტის შესახებ, რამდენადაც ჩვენი ამოცანა არ არის მოვლენების გაცხრილვა და გაფილტვრა და მხოლოდ ერთი რომელიმე პოზიციის წარმოდგენა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მთლიანობაში პროექტის მიმართ სანდოობა მაღალია, რაც მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი მიღწევაა და სამომავლო წარმატებას და პოპულარობასაც განაპირობებს.

შეკითხვები კვლევებთან დაკავშირებით

ქართულ-ოსური კონფლიქტი: ფაქტი, ნარატივი და რისიც გვჯერა

ავტორი: ნათია ჭანკვეტაძე

- **კონფლიქტთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების ანალიზისთვის რატომ აირჩიეთ მხოლოდ ოთხი საკითხი?**

პასუხი: 1989 წლიდან 2008 წლამდე პერიოდი საკმაოდ ვრცელია. შესაბამისად, შეუძლებელი იყო ყველა საკითხის განხილვა. პირველად, როდესაც დოკუმენტების თვალიერება და კითხვა დავიწყე, მივხვდი, რომ ბევრი ისეთი ინფორმაცია იყო

თავმოყრილი, რასაც ვერსად ამოიკითხავ და მოისმენ. შესაბამისად, გამიჩნდა შეკითხვა - ის რაც ვიცით, გვესმის, გვჯერა რაზეა დაფუძნებული - ფაქტებზე თუ ნარატივებზე?

რეალურად, სტატიის ფარგლებში განსახილველი ოთხი საკითხის მიღმა გაცილებით მეტი ამბავია, რაც ყურადღებას და დისკუსიას იმსახურებს. შესაძლოა ვინმემ სტატიაში ვერც იპოვოს პასუხი, რას ცვლის ამ ოთხი ამბის განხილვა და რატომ არა სხვა ოთხი ამბავი - მაგალითად, მესამე მხარის ჩართულობა, რომელზეც დღეს ბევრს ვსაუბრობთ. მე მერჩივნა ისეთ საკითხებზე გამემახვილებინა ყურადღება, რომლებზეც გავლენის მოხდენა შიდა რესურსების მობილიზებითა და გააქტიურებით შეიძლება, როგორც ქართულ, ისე ოსურ საზოგადოებაში.

- **შესაძლებელია თუ არა ნარატივების ტრანსფორმირება?**

პასუხი: მე ვფიქრობ, რომ შეიძლება. თუმცა დიდი დრო, რესურსი და ენერგია სჭირდება. ვფიქრობ, ნარატივებს ფრთხილად უნდა მივუდგეთ და ადამიანებს ავუხსნათ რომ ჯობს გამოსავლის ძიებაზე იყო მომართული, ვიდრე იმ ამბების მუდმივად გამეორებაზე, რომელიც აგრესიას იწვევს, როგორც შენში, ასევე შენ ირგვლივ მყოფ ადამიანებში.

ასევე, ნარატივების გააზრება პანაცეა არ არის. უნდა გვესმოდეს როგორ და რატომ გვინდა ამ კონკრეტული ნარატივის ტრანსფორმირება. მე, მაგალითად, მჯერა, რომ ნარატივებსა და ფაქტებზე მსჯელობა ემოციურ ფონს ამსუბუქებს და ადამიანებს უფრო ემპათიურს ხდის ერთმანეთის მოსაზრებების მიმართ. როცა შეგიძლია მოუსმინო და გაიგო რას ამბობს და რატომ, გამოსავლის ძიებაც უფრო მარტივია. ვიდრე მხოლოდ ერთ კონკრეტულ "ამბავში" გაჭედვა და საკუთარი თავისთვის მტკიცება რომ ასე იყო. ხშირად ეს "ასე იყო" არ გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ

დღეს რა შეიძლება იყოს განსხვავებულად. დღეს სად არის სივრცე მშვიდობისთვის და ორმხრივად მისაღები გამოსავლის ძიებისთვის.

- **ვინ უნდა იმუშავოს ნარატივების კრიტიკულად გააზრებისა და ტრანსფორმაციის მიმართულებით?**

პასუხი: ამ შეკითხვაზე ორგვარი პასუხი მაქვს. ერთი - ყველამ, მეორე - კონკრეტულ ადამიანებსა და ჯგუფებს მეტი პასუხისმგებლობა აქვთ. თუნდაც მე, რადგან თავს უფლებას ვაძლევ და ამ თემების შესახებ ვწერო და ვისაუბრო. კონფლიქტის ტრანსფორმაცია ჩემთვის საინტერესო კონცეფცია ბევრი მიზეზის გამოა. ერთ-ერთი პირველი საკითხი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დანახვა და გააზრებაა. მაგალითად, მე, რიგით მოქალაქეს, სოციალური ქსელის მომხმარებელს, შემიძლია გავლენის შექმნა. შემიძლია ისეთი ინფორმაცია გავავრცელო რისიც მე მჯერა, მაგრამ რეალურად არ ვიცი რამდენად ფაქტობრივი საფუძველი აქვს. არ ვიცი მართლა ასე იყო თუ მე დამამახსოვრდა ასე.

თბილისი, ცხინვალი, მოსკოვი - სამი ათწლეული აგვისტოს ომამდე

ავტორი: ოთარ კობახიძე

- **თქვენ საუბრობთ კონფლიქტის 30 წლიან თაიმლაინზე 1988 წლიდან 2008 წლამდე. როგორი იყო მანამდე ურთიერთობა ქართულ და ოსურ თემებს შორის? საუბრობთ ასევე წარსულის რადიკალურად განსხვავებულ ხედვაზეც - მაინც რა ხდებოდა ქართველებსა და ოსებს შორის მანამდე და რატომ იყო მათზე ხედვა განსხვავებული ქართულ და ოსურ ნარატივებს შორის?**

პასუხი: ლინგვისტურ საკითხთან ერთად, რომელიც კონფლიქტის დაწყების საბაბად თუ მიზეზად იქცა 80-იანების ბოლოს, მთავარი შეუთანხმებლობა და კონფლიქტის

მიზეზიც წარსულის მნიშვნელოვნად განსხვავებული ხედვა გახლდათ ქართულ და ოსურ ნაციონალისტურ ნარატივებში. ქართული ნარატივი ოსებს ქართლში ორი-სამი საუკუნის ჩამოსახლებულ ხალხად მიიჩნევს, რაც ქართველებისათვის ნიშნავდა, რომ ოსები ამ ტერიტორიაზე სტუმრები იყვნენ, ხოლო ოსების აზრით ისინი ამ მიწაზე ბევრად დიდი ხანია ცხოვრობენ. ქართველებისათვის ოსებს თვითგამორკვევის უფლება ჩრდილოეთში, დღევანდელი ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე აქვთ, ოსებს კი მიაჩნიათ, რომ კავკასიონის ორივე მხარეს ოსეთია და რომ ორივე მხარე უნდა გაერთიანდეს.

მნიშვნელოვანია ოსების მიერ 1918-21 წლებში მიმდინარე მოვლენების გააზრებაც. მას შემდეგ, რაც სამხრეთ კავკასია ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ რუსეთს ჩამოსცილდა და საქართველომ დამოუკიდებლობა გამოცხადა სოციალ-დემოკრატიული პარტიით (მენშევიკებით)სათავეში, სამხრეთის ოსების საგრძობი ნაწილი, ორგანიზდა რა ოსეთის ეროვნულ საბჭოდ ემხრობოდა ბოლშევიკებს და თბილისის წინააღმდეგ აჯანყებას აწყობდა. მთავრობამ თბილისიდან მაშინ სახალხო გვარდიისა და საჯარისო ნაწილები გაგზავნა აჯანყების ჩასახშობად. ოსური ნარატივი ამ მოვლენებს „გენოციდად“ რაცხავს. თავის მხრივ ამ ამბებზე შეთანხმება არ ყოფილა თავად იმდროინდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში - მემარცხენეები მიიჩნევდნენ, რომ კონფლიქტი პარტიულ-იდეოლოგიური იყო და პრო-ბოლშევიკური ოსების ეროვნული საბჭო მენშევიკების მმართველობას ვერ ეგუებოდა, მემარჯვენე მიმართულების პარტიები კი ოსურ გამოვლებში ეთნიკურ ხასიათს ხედავდნენ.

ამისდა მიუხედავად, საბჭოთა წლები მეტნაკლებად მშვიდობიანი თანაცხოვრების ხანა იყო ქართველებსა და ოსებს შორის, ხშირი იყო შერეული ოჯახები, სოფლები და ქალაქები, თუმცა ოსმა თუ ქართველმა ნაციონალისტებმა ამ განსხვავებების გამოყენება და წარსულის სხვადასხვაგვარი ხედვების პოლტიკური ინსტრუმენტალიზება/გამოყენება წარმატებით მოახერხეს.

- **ნაშრომში მწირადაა ნაჩვენები დასავლური ინსტიტუტების როლი კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. როგორი როლი ითამაშა კონფლიქტის მოწესრიგებისაკენ მიმართულ მოლაპარაკებებში მაგალითად ეუთომ?**

პასუხი: კონფლიქტის მოგვარების საქმეში ეუთოს როლი მეტად მნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებით შეგვიძლია ეს ვთქვათ 1992-99 წლების პერიოდზე. მაგალითად, 1998 წლის 3 დეკემბერს ოსლოში ეუთოს მინისტრების შეხვედრაზე აღიარეს ცხინვალის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში მიღწეული გარკვეული პროგრესი. ეუთო ხედავდა პოლიტიკური მოლაპარაკებების მცდელობების გააქტიურების საჭიროებას, და არ კმაყოფილდებოდა სამხედრო მდგომარეობის და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნების საკითხში მიღწეული შეთანხმებებით.

ეუთო, განსხვავებით კონფლიქტში ჩართული რუსული, ჩრდილო ოსური და ე.წ. სამხრეთ ოსური მხარეებისაან განსხვავებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვეობის პრინციპიდან ამოდიოდა. სწორედ ასე იყო მაგალითად მაშინაც, როცა იგი განიხილავდა შუალედური დოკუმენტის ქართულ, ოსურ და რუსულ ვერსიებს, რომელთა შექმნა, 1997 წ. მარტში გადაწყდა.

2000 წლის აპრილში საექსპერტო ჯგუფის შეხვედრა ვენაში გაიმართა, სადაც შუალედური დოკუმენტის შეუთანხმებელი პოზიციები უნდა განხილულიყო. საინტერესოა, რომ ეუთომ შეხვედრის ადგილად ვენა აირჩია, რათა ერთგვარად დსთ-ის სივრცის გარეთ გატანილიყო მოლაპარაკებები. დიდი იყო ეუთოს როლი 2000 წლის 13 ივლისს პარაფირებულ ე.წ. ბადენის დოკუმენტშიც, რომელიც მიუხედავად შეუთანხმებელი საკითხებისა, კონფლიქტის მოწესრიგებისათვის გამართული მოლაპარაკებების ერთგვარ დაგვირგვინებადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

- *ნაშრომში თითქოს არასაკმარისადაა წარმოჩენილი რუსეთის ფაქტორი 2008 წლის ომის დაწყების წინ. უფრო დეტალურად რომ ისაუბროთ, მაინც რა ნაბიჯებს დგამდა რუსეთი აგვისტოს ომამდე პერიოდში?*

პასუხი: საერთოდ, სამშვიდობო გეგმების ინიციატივებს ქართული მხარის მიერ, თან სდევდა ერთგვარი გამაფრთხილებელი ნაბიჯები რუსეთის მხრიდან, რაც წარმოაჩენდა მის არაკონსტრუქციულ როლს კონფლიქტში. მეტიც, 2006 წლის 25 იანვარს ჩრდილო ოსეთში ენერგეტიკულმა დივერსიებმა საქართველო ენერგეტიკულ კრიზისში ჩააგდო. 30 იანვარს კი პუტინმა განაცხადა კოსოვოს მაგალითის პოსტსაბჭოთა სივრცის კონფლიქტებზე განვრცობის შესახებ.

თუ თბილისი ცხინვალისა და სოხუმისათვის „ფართო ავტონომიაზე“ საუბრობდა, მოსკოვი თვითაღიარებული რეგიონების ლიდერებს ოფიციალურად მასპინძლობდა. 2005 წლის 3-4 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა თვითაღიარებული აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერებთან ერთად კოკოითსაც უმასპინძლა. მომდევნო დღეს სოჭის რეზიდენციაში უმასპინძლა კოკოითსა და ბაღაფშს პუტინმა.

2005 წლის განმავლობაში რუსეთმა არაერთი საკადრო ცვლილება განახორციელა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ძალოვან უწყებებში. ცხინვალის კგბ-ს რუსული ეფესბეს კადრი ანატოლი იაროვოი ჩაუდგა სათავეში. რუსული არმიის გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზაიცევი კი დე-ფაქტო აფხაზეთის სამხედრო უწყების მაღალჩინოსანი გახდა. რუსულმა შსს-მ ცხინვალში შსს მინისტრად გადმოისროლა თავისი მათალჩინოსანი მიხაილ მინძაევი.

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ჟურნალისტმა დიმიტრი მედვედევს ჰკითხა: "რას იტყვით ბატონი პუტინის განცხადებებზე იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს არსებობდა გეგმა და ამ გეგმის ფარგლებში ამზადებდნენ მეამბოხეებს სამხრეთ ოსეთში?" მედვედევმა განაცხადა, რომ "რა თქმა უნდა, შეიძლება, ვილაპარაკოთ

იმაზე, რომ ჩვენ ვცდილობდით, ამ ორ ხალხს [აფხაზებს და ოსებს] დავხმარებოდით, რომლებიც ჩვენ შესაბამისი თხოვნებით მოგვმართავდნენ." ფაქტობრივად, მედვედევმა დაადასტურა, რომ 2006 წლიდან გარკვეული მზადყოფნა იყო ომისათვის.

2007 წლის 21 იანვარს_რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ კოსოვოს პრობლემა უნივერსალური ხასიათისაა და შეიძლება გახდეს დსთ–ს სივრცეში, ანალოგიური კონფლიქტების მოგვარების წინაპირობა. "პატარა სახელმწიფოები თავს დაუცველად გრძნობენ. ბუნებრივია, თუ კოსოვოში პრობლემას გარკვეული გზით მოვაგვარებთ, ეს მიდგომა უნივერსალური უნდა გახდეს ანალოგიური სიტუაციებისთვის."

ცხადია, კიდევ უფრო მეტი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა საქმე რუსეთის კონფლიქტში ცართულობას ეხება.

თბილისი და ცხინვალი, სუვერენული საქართველოს ფოლკლორული ხედვები

ავტორი: დათო ჯიშკარიანი

- **თქვენს ნაშრომში ცალსახად, იმპერატიულადაც კი აღნიშნავთ რომ 1988 წლამდე ქართველებსა-ოსებს შორის კონფლიქტი არ არსებობდა. უფრო ვრცლად რომ მიპასუხოთ კიდევ ერთხელ რა მოხდა 1988 წელს ?**

პასუხი: ეს არის ლოგიკური პროცესი, თუ პოლიტიკურ მოვლენებს ადეკვატურად შევხედავთ. მზარდმა ქართულმა დომინანტურმა ნაციონალიზმა ხელი შეუწყო და წაახალისა ოსური ნაციონალიზმიც. ეროვნული მოძრაობის პროექტში კი ეთნიკური უმცირესობების ადგილი არ იყო. კომუნისტური ნაციონალური პოლიტიკა კი დრომოჭმული იყო და რეალობას ვერ ასახავდა

- თქვენს ნაშრომში კონფლიქტი არსებობს როგორც ელიტებს ასევე მოსახლეობას შორის. არის ეს კონფლიქტი ზემოდან თუ ე.წ გრასრუთ კონფლიქტია ?

პასუხი: მოსახლეობამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადვილად აიტაცა ნაციონალიზმი. წერილები რომელიც ცკ შემოდის ამის კარგი დემონსტრირებაა. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური ლიდერები თბილისის ლიდერების მსგავსად მხოლოდ საკუთარ ეროვნულ პროგრამაზე ფიქრობდნენ და სხვა ერების ადგილი მათ პოლიტიკაში, პროგრამაში არ იყო. მარტივი ფორმულირებით, ოსები ოსებზე, ხოლო ქართველები ქართველებზე ზრუნავენ. მოსახლეობა ნაციონალური სიმბოლოებითა და ისტორიით ცდილობს პრობლემების გადაჭრას. დაპირისპირებებიც ძალიან ლოკალურია და არაა ისეთი ფართომასშტაბიანი, როგორც აფხაზეთში.

- რაში გვჭირდება ეს კვლევა ?

პასუხი: კვლევამ აჩვენა, რომ ბევრი რამე არ ვიცით. ამიტომ სუტორის დოკუმენტური ბაზა ამ კუთხით განსაკუთებული და მნიშვნელოვანია. ერთ სივრცეში თავმოყრილი დოკუმენტები ბევრი რამის გაგების და ანალიზის საშუალებას იძლევა.